საკრედიტო რესურსის ჩარჩოშეთანხმების

№1 ცვლილება

N°CGE 1041 01 Z et 04 C

ერთის მხრივ,

საქართველოსა, წარმოდგენილი ლაშა ხუციშვილის მიერ, საქართველოს ფინანსთა მინისტრის რანგში, რომელიც არის სათანადოდ უფლებამოსილი ხელი მოაწეროს ჩარჩოშეთანხმების ამ ცვლილებას

(„საქართველო“ ან „მსესხებელი“)

და

მეორეს მხრივ,

საფრანგეთის განვითარების სააგენტოს, რომელიც წარმოადგენს ფრანგულ საჯარო ორგანიზაციას, რეგულირებულს საფრანგეთის კანონმდებლობის შესაბამისად, დარეგისტრირებული ოფისით შემდეგ მისამართზე: როლანდ ბართეს ქუჩა N5, 75598 პარიზი, ცედექსი 12, საფრანგეთი, რეგისტრირებული პარიზის ვაჭრობისა და კომპანიების რეესტრში ნომრით 775 665 599, წარმოდგენილი ფანი დელპის მიერ, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიის ოფისის დირექტორის რანგში, რომელიც არის სათანადოდ უფლებამოსილი ხელი მოაწეროს ჩარჩოშეთანხმების ამ ცვლილებას,

(„AFD” ან „გამსესხებელი“)

შორის

(შემდგომში ერთობლივად მოხსენებული იქნება როგორც „მხარეები“ ან თითოეული როგორც „მხარე“)

ვინაიდან,

2022 წლის 7 ივლისის დირექტორთა საბჭოს №C20220450 რეზოლუციის თანახმად, გამსესხებელი დათანხმდა გამსესხებელსა და მსესხებელს შორის 2022 წლის 15 ნოემბერს ხელმოწერილი ჩარჩოშეთანხმების დადებას სახსრების ხელმისაწვდომობის შესახებ („**ჩარჩოშეთანხმება**"). 2026 წლის 19 მარტის დირექტორთა საბჭოს №C20260103 რეზოლუციის მიხედვით, ჩარჩოშეთანხმების ვადა 3 წლიდან 3 წლამდე და 9 თვემდე გაიზარდა.

მსესხებელი და AFD შეთანხმდნენ, წინასწარ დაადგინონ ვადები და პირობები, რომლითაც მსესხებელს შეეძლება მოსთხოვოს AFD-ს, ხელმისაწვდომი გახადოს რესურსები პროგრამის ტრანშების სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებისთვის, რაზეც AFD შესაძლოა დათანხმდეს ან უარი განაცხადოს.

მსესხებელსა და გამსესხებელს შორის 2023 წლის 17 აგვისტოს ხელმოწერილი რესურსის დამტკიცების დოკუმენტით („**რესურსის დამტკიცება**") გამსესხებელი, დირექტორთა საბჭოს 2022 წლის 7 ივლისის № C20220449 რეზოლუციის შესაბამისად, დათანხმდა მსესხებლისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საკრედიტო რესურსი, რომლის ძირითადი თანხის მაქსიმალური ოდენობა ორმოცდაათი მილიონი ევროა (50 000 000 ევრო).

ჩარჩოშეთანხმების ვადის გაგრძელების გამო, მხარეები შეთანხმდნენ, ხელი მოაწერონ ჩარჩოშეთანხმების წინამდებარე ცვლილების შეთანხმებას („**ცვლილება**").

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, შეთანხმებულია შემდეგნაირად:

მუხლი 1 – განმარტება

ამ ცვლილებაში მოცემული ნებისმიერი განმარტებული ტერმინების გარდა, ცვლილებაში კაპიტალიზებული ასოებით მოხსენიებულ ტერმინებს (მათ შორის, ზემოთ მოცემული წინადადებების შინაარსში მოხსენიებულებს) ექნებათ ჩარჩოშეთანმებაში მინიჭებული მნიშვნელობა.

2 – ცვლილებები ჩარჩოშეთანხმებაში

ცვლილების ეფექტურობის თარიღიდან, ჩარჩოშეთანხმების შემდეგი პუნქტები შესწორებულია.

2.1 მუხლი 3-ის ცვლილება ("ჩარჩოშეთანხმების ხანგრძლივობა")

ჩარჩოშეთანხმების მე-3 მუხლი („ჩარჩოშეთანხმების ვადა") შემდეგნაირად იცვლება:

„ჩარჩოშეთანხმება ძალაში შედის ეფექტურობის თარიღიდან და სრულად ძალაში დარჩება ხელმოწერის თარიღიდან სამი (3) წლისა და ცხრა (9) თვის განმავლობაში („**საბოლოო თარიღი**").

თითოეულ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს ჩარჩოშეთანხმება ნებისმიერ დროს საბოლოო თარიღამდე, კომპენსაციის გარეშე (გარდა არსებული რესურსებით გათვალისწინებულისა), იმ პირობით, რომ შეტყობინება მეორე მხარეს მიეწოდება რეგისტრირებული წერილით მიღების დადასტურებით, ასეთ შეტყობინებაში მითითებული შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე („**შეწყვეტის თარიღი**") სულ მცირე თხუთმეტი (15) კალენდარული დღით ადრე.

საბოლოო თარიღამდე ერთი თვით ადრე ან ზემოთ მითითებული შეწყვეტის შესახებ შეტყობინების მიწოდების დღიდან, მსესხებელი არ წარუდგენს AFD-ს რაიმე სესხის მოთხოვნას, მაგრამ ჩარჩოშეთანხმება გააგრძელებს თავისი მოქმედების განხორციელებას გამოუყენებელ სახსრებთან დაკავშირებით მანამ, სანამ ფინანსური დოკუმენტების თანახმად ნებისმიერი თანხა რჩება გადასახდელი.

2.2 განრიგი 3-ის - ნაწილი III - ის ცვლილება - წინაპირობები (რესურსის ფარგლებში პირველი ჩამორიცხვის წინაპირობები)

განრიგის 3-ის (წინაპირობები) ნაწილი III-ის (ა) (i) შეცვლილია შემდეგნაირად:

"(ა) მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის შემდეგი დოკუმენტების მიწოდება:

(i) საქართველოს პარლამენტის დადგენილების დამოწმებული ასლი, რომელიც ეხება ჩარჩოშეთანხმების რატიფიკაციას და, **მისი ცვლილება(ები), შესაბამისი შემთხვევის მიხედვით,** და თუ შესაძლებელია; შესაბამისი რესურსის დამტკიცება; [...]"

3 – შეთანხმების სხვა მუხლები

ცლილება არ ქმნის ჩარჩოშეთანხმების არანაირ განახლებას. ჩარჩოშეთანხების ყველა სხვა დებულება სრულად ძალაში რჩება და უცვლელი რჩება იმდენად, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგება ცვლილების პირობებს.

4 – წარმომადგენლობები და გარანტიები

ცვლილების ძალაში შესვლის თარიღისთვის, ჩარჩოშეთანხმების („წარმომადგენლობები და გარანტიები") მე-13 მუხლში მოცემული ყველა წარმომადგენლობა და გარანტია გაკეთებული არის მსესხებლის მიერ.

ცვლილების ხელმოწერის თარიღისთვის, მსესხებელი ასევე აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

(ა) მას აქვს სრული უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა, ხელი მოაწეროს ცვლილებას და შეასრულოს ყველა გათვალისწინებული ვალდებულება;

და

(ბ) ცვლილების ხელმოწერა და მისი ვალდებულებების შესრულება არ ეწინააღმდეგება მასზე მოქმედ არცერთ შიდა ან უცხოურ კანონს ან რეგულაციას, მის საკონსტიტუციო დოკუმენტებს (ან ნებისმიერ მსგავს დოკუმენტს) ან რაიმე შეთანხმებას ან დოკუმენტს, რომელიც სავალდებულოა მსესხებლისთვის ან გავლენას ახდენს მის რომელიმე აქტივზე.

5 – ძალაში შესვლა

ეს ცვლილება ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ მისი რატიფიცირებისთანავე.

ეს ცვლილება უკუძალით ამოქმედდება 2025 წლის 15 ნოემბრიდან, ჩარჩოშეთანხმების განახლების გარეშე.

6 – მარეგულირებელი კანონმდებლობა, იურიდიული მისამართის შერჩევა გადახდებისთვის და აღსრულება

ეს ცვლილება რეგულირდება საფრანგეთის კანონმდებლობით.

ჩარჩოშეთანხმების 20.2 პუნქტის („არბიტრაჟი“) და 20.3 პუნქტის („პროცესის მომსახურება“) დებულებები შესაბამისი შესწორებების გათვალისწინებით გავრცელდება ამ ცვლილებაზე.

შესრულებულია ორ (2) ორიგინალ ასლად,

თბილისში,
[თარიღში],

მსესხებელი

საქართველო

წარმოდგენილი ლაშა ხუციშვილის მიერ საქართველოს ფინანსთა მინისტრის
რანგში

გამსესხებელი

საფრანგეთის განვითარების სააგენტო

წარმოდგენილი ფანი დელპის მიერ, საფრანგეთის განვითარების სააგენტოს სამხრეთ კავკასიის ოფისის
დირექტორის რანგში

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა
თარგმანის ბიურო
სარეგისტრაციო/REGISTRATION № 0156/1-26
თარიღი/DATE 4.06.2026
დამოწმებულია/CERTIFIED BY
Ministry of Foreign Affairs of Georgia
TRANSLATION BUREAU
of International Agreements of Georgia